

## მაგისტრატურაში მისაღები ტესტი - მენეჯერებისათვის

ტესტი შედგება სამი ნაწილისაგან: ვერბალური, ზოგადჰუმანიტარული, ელემენტარული მათემატიკა. იგი შეიცავს 65 დავალებას, მათგან 30 - ვერბალური, 30 - ზოგადჰუმანიტარული და 5 - ელემენტარული მათემატიკიდან. ყოველ დავალებას ახლავს ოთხი ან ხუთი პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

### ვერბალური ნაწილი

ტესტი მოიცავს შემდეგი ტიპის დავალებებს:

- ანტონიმები
- ანალოგიები
- ლოგიკა
- წინადადების შევსება
- წაკითხული ტესტის გააზრება.

### ანტონიმები (6 დავალება).

ამ სახის დავალებაში მოცემულია მუქი შრიფტით გამოყოფილი სიტყვა. პასუხის მოცემულ ვარიანტებში ერთ-ერთი სიტყვის ან გამონათქვამის მნიშვნელობა საწინააღმდეგოა მოცემული სიტყვის მნიშვნელობისა. ესაა სწორი არჩევანი.

#### **კორუმპირებული** (ნიმუში)

- (a) ჩამოყალიბებული
- (b) ინტელიგენტური
- (g) პატიოსანი
- (c) ნიჭიერი

სწორი პასუხია (g) პატიოსანი, რადგან მისი მნიშვნელობა საწინააღმდეგოა სიტყვა «კორუმპირებულის» მნიშვნელობის (კორუმპირებული – ქრთამის ამღები - უპატიოსნო)

### ანალოგიები (6 დავალება).

ამ სახის დავალებაში მოცემულია მუქი შრიფტით გამოყოფილი ორი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული კავშირი. პასუხის ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია ურთიერთ დაკავშირებული სიტყვების წყვილი. პასუხების ერთ-ერთ წყვილში სიტყვების მნიშვნელობათა შორის კავშირი მსგავსია (ანალოგიურია) იმ კავშირისა, რაც არსებობს გამუქებულ სიტყვათა წყვილის მნიშვნელობებს შორის. ესაა სწორი არჩევანი.

#### **რიცხვი: ციფრი** (ნიმუში)

- (a) მოთხრობა: სტროფი
- (b) ფრაზა: წინადადება
- (g) სიტყვა: ასოები
- (d) გამოსახულება: ფორმულა.

- დაადგინეთ კავშირი გამუქებულ სიტყვათა A მნიშვნელობებს შორის
- ჩამოაყალიბეთ ეს კავშირი მოკლე წინადადების სახით
- პასუხების თითოეულ ვარიანტს მიუსადაგეთ თქვენს მიერ შედგენილი წინადადება, რომელშიც ასახულია გამუქებულ სიტყვათა A მნიშვნელობებს შორის არსებული კავშირი

- შეარჩიეთ ამ ვარიანტებიდან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა A ურთიერ-კავშირი გამუქებულ სიტყვათა შორის კავშირის ანალოგიურია. ესაა სწორი არჩევანი.

ნებისმიერი **რიცხვის** ჩასაწერად გამოიყენება სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელსაც **ციფრები** ეწოდება.

ნებისმიერი **სიტყვის** ჩასაწერად გამოიყენება სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელსაც **ასოები** ეწოდება.

ე.ი. ამ მაგალითში სწორი არჩევანია (გ).

### წინადადებების შევსება (6 დავალება).

ამ სახის დავალებაში მოცემულია წინადადება, რომელშიც გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი - რამდენიმეს. სავარაუდო პასუხთა თითოეული ვარიანტი შეიცავს სიტყვათა ჯგუფს, რომლის ნაწილები ერთმანეთისაგან დახრილი ხაზებითაა (/) გამოყოფილი. უნდა შეარჩიოთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილას მოგვცემს აზრობრივად გამართულ წინადადებას.

#### (ნიმუში)

თუ \_\_\_\_\_ მტკიცება, რომ ადამიანი ადამიანისთვის \_\_\_\_\_, მაშინ რატომ ხდება ქვეყნად \_\_\_\_\_?

- (a) არასწორია/მმაა/ვერაგობა
- (b) სწორია/მგელია/დანაშაული და მკვლელობა/
- (g) სწორია/მმაა/კეთილი საქმეები/
- (დ) სწორია/მგელია/კეთილი საქმეები/

თუ თანმიმდევრულად გამოტოვებული სიტყვების მაგივრად ჩავსვავთ სავარაუდო პასუხებში მოცემულ სიტყვებს, დავინახავთ, რომ მხოლოდ (დ) პასუხი აღმოჩნდება ლოგიკურად გამართული. სწორი ვარიანტია (დ).

თუ სწორია მტკიცება, რომ ადამიანი ადამიანისათვის მგელია მაშინ რატომ ხდება ქვეყნად კეთილი საქმეები.

### წაკითხული ტექსტის გააზრება ( 2 ტექსტი 6-6 კითხვით)

ამ სახის დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელსაც ახლავს 6 კითხვა. ყოველი კითხვა დამოუკიდებელი ტესტური დავალებაა. კითხვებს ერთვის 4 ან 5 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. ტექსტები თემატურად მრავალფეროვანია, მაგრამ კითხვებზე პასუხის გაცემა არ მოითხოვს რაიმე სპეციალურ ცოდნას.

ყურადღებით წაკითხეთ და გააზრეთ ტექსტი. თითოეული კითხვის სავარაუდო პასუხისაგან შეარჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც სწორად ასახავს ტექსტის შესაბამის ასპექტს.

**მბტ-ის** ზოგადჰუმანიტარული ნაწილი შედგება 30 კითხვისაგან: ისტორიის, გეოგრაფიის, პოლიტიკის, კულტურის, სამართლის და ეკონომიკის სფეროდა.

**მმტ** ტესტის მათემატიკური ნაწილი შედგება რაოდენობრივი ხასიათის დავალებებისაგან (5 დავალება).

**მათემატიკური ნაწილი - რაოდენობრივი შედარება**

ამ ტიპის დავალებებში ცხრილის სახით მოცემულია რაოდენობათა წყვილები, რომლებიც გამოსახულებისა ან წინადადებების მეშვეობითაა წარმოდგენილი. ზოგჯერ მათ თან ახლავს დამატებითი ინფორმაცია.

გამოსახულებების ან წინადადებების სახით წარმოდგენილი რაოდენობები A და B სვეტებშია მოცემული. რაოდენობრივი შედარების დავალებათა შესრულებისას მოითხოვება A სვეტში ამითითებული რაოდენობის შედარება B სვეტში მითითებულ რაოდენობასთან. ყოველ დავალებას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი:

- (a) თუ A სვეტში მითითებული რაოდენობა მეტია B სვეტში მითითებულ რაოდენობაზე
- (b) თუ A სვეტში მითითებული რაოდენობა ნაკლებია B სვეტში მითითებულ რაოდენობაზე
- (გ) თუ A სვეტში მითითებული რაოდენობა ტოლია B სვეტში მითითებულ რაოდენობის
- (c) თუ მოცემული ინფორმაცია არაა საკმარისი რაოდენობრივი შედარებისათვის

**ნიმუში:**

<sup>1</sup>	A	B	
1.	$x^{10}$	$x^{19}$	(ა) (ბ) (გ) (დ)
2.	$x^2 - 2x + 1$	$(x - 1)^2$	(ა) (ბ) (გ) (დ)

<sup>1</sup>1-ში სწორი პასუხია (დ), რადგან შეუძლებელია  $x^{10}$  და  $x^{19}$  შედარება, როცა ცნობილია რომ  $x > 0$  (როცა  $0 < x < 1$ , მაშინ  $x^{10} > x^{19}$ , როცა  $x = 1$   $x^{10} = x^{19}$  და როცა  $x > 1$ , მაშინ  $x^{10} < x^{19}$ ).

<sup>1</sup>2-ში სწორი პასუხია (გ), რადგან  $x^2 - 2x + 1 = (x - 1)^2$